საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 150 2025 წლის 21 მაისი ქ. თბილისი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის 2^2 პუნქტის საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში – საბჭო) წევრებად დაინიშნონ:

ა) **ლევან შავაძე** – სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი – საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) **ქეთევან აფთარაშვილი** – შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი – საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

გ) **ვაჟა კელიხაშვილი** – ა(ა)იპ – საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი – საბჭოს მდივანი;

დ) **ნარგულ ასანიძე** – სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

ე) **ნათია იორდანიშვილი** – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე;

ვ) **თეა მჭედლური** – შპს უნივერსიტეტ ალტერბრიჯის ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;

ზ) **ვლადიმერ ადეიშვილი** – სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

თ) **ციური დურული** – სსიპ – გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;

ი) **ქეთევან ნანობაშვილი** – შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;

კ) **დავით კაპანაძე** – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;

ლ) **მაქსიმ იავიჩი** – შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;

მ) **თამარ ზარანდია** – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;

ნ) **მზია წიკლაური** – შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;

ო) **ელიზბარ ელიზბარაშვილი** – ა(ა)იპ – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი;

პ) **ქრისტინე ახალაძე** – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი;

ჟ) **ბონდო გასვიანი** – შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტ სეუს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

რ) **ირინა ლობჟანიძე** – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.

ირაკლი კობახიძე